



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს სხდომის

ოქმი №7

ქ. ლანჩხუთი

15. 07. 2020 წელი

ბიუროს სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ვლადიმერ ნანაძე, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩახვაძე, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე ემზარ თევდორაძე, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ვერიკო კვიციანი, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე გიორგი გვარჯალაძე, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველები“ თავმჯდომარე სპარტაკ კვაჭაძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარე ბესიკ კუპრაძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მწვანეების“ თავმჯდომარე ზაზა წულაძე, საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე გიორგი ხელაძე, საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი) ნინო მიძიგური, საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ნანა ბზეკალავა, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ნუნუ სულაკაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში ია მოქია, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში მანია კუპატაძე.

სხდომას ესწრებოდნენ მოწვეული სტუმრები: მუნიციპალიტეტის მერი ალექსანდრე სარიშვილი, მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი ია ჩხაიძე, მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის უფროსი მაგული კუნჭულია, მერიის იურიდიული სამსახურის უფროსი სპეციალისტი გულინა კუნჭულია, მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ბუღალტრული

აღრიცხვა-ანგარიშგების განყოფილების უფროსი თამაზ იმედაიშვილი, მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი გიორგი ნაჭყეია, მერიის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის უფროსი დავით პატარაია, მედიის წარმომადგენლები.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის მერის მომართვის საფუძველზე დღის წესრიგის პროექტით გათვალისწინებულ პირველ და მეორე საკითხს დღევანდელ სხდომას წარუდგენს მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების განყოფილების უფროსი **თამაზ იმედაიშვილი**, ხოლო მეექვსე, მეცხრე და მეთათე საკითხს მერიის იურიდიული სამსახურის უფროსი სპეციალისტი **გულინა კუნჭულია**.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 9 წევრი.

მომხრე ბიუროს 9 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 23 დეკემბრის N19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი თამაზ იმედაიშვილი/

2. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის ივნისის თვის შესრულების ანგარიშის მოსმენის შესახებ.

/მომხსენებელი თამაზ იმედაიშვილი/

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის N37 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი მაგული კუნჭულია/

4. „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანებისთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი გიორგი ნაჭყებია/

5. „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებისთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი გიორგი ნაჭყებია/

6. „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამის განხორციელების წესის დადგენის შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი გულინა კუნჭულია/

7. ლანჩუთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის მიერ 2019 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის მოსმენა.

/მომხსენებელი ია ჩხაიძე/

8. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის მიერ 2019 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის მოსმენა.

/მომხსენებელი დავით პატარაია/

9. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა სამტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის N38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი გულინა კუნჭულია/

10. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი გულინა კუნჭულია/

11. სხვადასხვა საკითხები.

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით ბიუროს წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 9 წევრი.

მომხრე ბიუროს 9 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის დაწყებამდე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურომ იმსჯელა საკრებულოს მორიგი სხდომის მოწვევის თარიღის შესახებ.

სხდომას შემოუერთდა საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩახვაძე.

საკრებულოს მორიგი სხდომის მოწვევის თარიღად განისაზღვრა 2020 წლის 28 ივლისი, 11:00 საათი.

მომხრე ბიუროს 10 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 23 დეკემბრის N19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების განყოფილების უფროსმა **თამაზ იმედაიშვილმა**. მან აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობის მიმდინარე წლის 23 ივნისის N1049 განკარგულებით შევიდა ცვლილება საქართველოს მთავრობის 2019 წლის 18 დეკემბრის N2630 განკარგულებაში (საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ), შემცირდა გზის კაპიტალური (ორგ.კოდი 02 01 01) შეკეთების სამუშაოები 19492 ლარით, მ.შ ცენტრალური დაფინანსებით 18549 ლარით. საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების რეაბილიტაცია (ორგ.კოდი 02 04 02) 56182 ლარით, მ.შ ცენტრალური 53373 ლარი. კაპიტალური დაბანდებები გარე განათების სფეროში (ორგ.კოდი 02 03 02) 28985 ლარით, მ.შ ცენტრალური 27536 ლარი. კაპიტალური დაბანდებები სპორტის სფეროში (ორგ.კოდი 05 01 03) 6342 ლარით, მ.შ ცენტრალური 6024 ლარი და გაიზარდა წყლის სისტემის რეაბილიტაცია (ორგ.კოდი 02 02 01) 357580 ლარით, მ.შ ცენტრალური 339701 ლარი.

საქართველოს მთავრობის მიმდინარე წლის 02 ივლისის N1133 განკარგულებით შევიდა ცვლილება 2020 წლის 20 თებერვლის N325 განკარგულებაში და დამატებით გამოიყო 1 000 000 ლარი, რომელიც მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის წერილის თანახმად მიიმართება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ნაპირსამაგრების მოწყობის სამუშაოების საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადებისთვის (ორგ.კოდი 02 08) 168364 ლარი და ნაპირსამაგრის მოწყობის სამუშაოებზე მიიმართოს 831636 (ორგ.კოდი 02 09).

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 09 იანვრის N27 განკარგულებაში საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირება (ორგ.კოდი 05 04) შემცირდეს 254973 ლარით.

მიმდინარე წელს COVID 19 პანდემიამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა საქართველოს ეკონომიკურ განვითარებაზე. შესაბამისად მნიშვნელოვნად შემცირდა საქართველოს ეკონომიკური ზრდის (მ.შ.პ. რეალური ზრდის განახლებული პროგნოზი 4%) და საგადასახადო შემოსავლის პროგნოზი.

ზემოთ აღნიშნულის და „საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული მუნიციპალიტეტების კუთვნილი დამატებითი ღირებულების გადასახადის პროცენტული განაწილების გათვალისწინებით, 2020 წელს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საგადასახადო შემოსავლების საორიენტაციო მაჩვენებელი შემცირდა 1113.9 ათასი ლარით და განახლებული მაჩვენებელი დარჩა 7794.6 ათასი ლარი, მ.შ კუთვნილი დ.დ.გ-ს განახლებული საორიენტაციო საპროგნოზო

მაჩვენებელი შეადგენს 6494.6 ათასი ლარს, არაფინანსური აქტივების კლებიდან შემოსავალი უნდა შემცირდეს 260.0 ათასი ლარით.

მიზნობრივი ტრანსფერი (N27 განკარგულება მოსწავლეთა ტრანსპორტირება) შემცირდეს 254973 ლარით, გაიზარდოს შერეული და არაკლასიფიცირებული შემოსავლები 15000 ლარით, ჯარიმები და საურავები 1214060 ლარით, კაპიტალური ტრანსფერი (N2630 განკარგულება) გაიზარდოს 234219 ლარით, სპეციალური ტრანსფერი (N325 სტიქიის განკარგულება) გაიზარდოს 1 000 000 ლარით.

მუნიციპალიტეტის მიერ უნდა განხორციელდეს 2020 წლის ბიუჯეტის კორექტირება და უნდა შემცირდეს ბიუჯეტის გადასახდელები. კერძოდ: მუნიციპალიტეტის საკრებულოს საქონელი და მომსახურების მუხლი 5000 ლარით, სოც.უზრუნველყოფის მუხლი 10000 ლარით; მუნიციპალიტეტის მერიის საქონელი და მომსახურების მუხლი 10000 ლარით, სოც.უზრუნველყოფის მუხლი 10000 ლარით.

შემცირდეს: ა(ა)იპ ეკონომიკური განვითარებისა და ინოვაციების ცენტრის საქონელი და მომსახურების მუხლი 1200 ლარით, ა(ა)იპ სკოლამდელი საგანმანათლებლო საადმინისტრაციო ცენტრის საქონელი და მომსახურების მუხლი 100400 ლარით, ა(ა)იპ სპორტული ცენტრის საქონელი და მომსახურების მუხლი 15000 ლარით და სხვა ხარჯების მუხლი 20000 ლარით, ა(ა)იპ კულტურის დაწესებულებათა გაერთიანება 45000 ლარით, მ.შ არაფინანსური აქტივები 13400 ლარი და საქონელი და მომსახურება 31600 ლარით. განათლების ღონისძიებების 3000 ლარით, კულტურის ღონისძიებები 7000 ლარით.

საგზაო ნიშნების და უსაფრთხოება (ორგ.კოდი 02 01 03) გაიზარდოს ვიდეო კამერების ინტერნეტით მომსახურება საქონელი და მომსახურების მუხლი 14400 ლარით.

წინა პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულების დაფარვა და სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფის მუხლი გაიზარდოს 45000 ლარით.

უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები (ორგ.კოდი 03 04) სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება გაიზარდოს 10000 ლარით.

ა(ა)იპ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის საქონელი და მომსახურების მუხლის 6030 ლარის შემცირების ხარჯზე გაიზარდოს შრომის ანაზღაურების მუხლი 6030 ლარით.

ა(ა)იპ კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრის მომართვის საფუძველზე სამსახურმა მიზანშეწოლილად ჩათვალა, რომ შემცირდეს გარე განათების ქსელის ექსპლოატაციის (ორგ.კოდი 02 03) არაფინანსური აქტივების მუხლი 40000 ლარით, მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარება (ორგ.კოდი 02 07) შრომის ანაზღაურების მუხლი შემცირდეს 4600 ლარით და შემცირების ხარჯზე გაიზარდოს წყლის სისტემის ექსპლოატაცია (ორგ.კოდი 02 02 02) შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება 12800 ლარით, სასაფალოების მოვლა - პატრონობა (ორგ.კოდი 02 06 05) შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება 12350 ლარით და მწვანე ნარგავების მოვლა - პატრონობა (ორგ.კოდი 03 02) შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება 19250 ლარით. ასევე, შემცირდეს დასუფთავებისა და ნარჩენების გატანა (ორგ.კოდი 03 01) 41000 ლარით და გაიზარდოს შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება 41000 ლარით.

ა(ა)იპ საფეხბურთო სკოლის წერილის შესაბამისად შემცირდეს სხვა ხარჯების მუხლი 2500 ლარით და გაიზარდოს საქონელი და მომსახურების მუხლი 2500 ლარით.

მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** აღნიშნა, რომ ავტობანის გახსნის შემდეგ ვიდუოკამერების მომსახურება დაევალება მუნიციპალიტეტს, რაც წლის განმავლობაში შეადგენს 14400 ლარს. წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, ძირითადად არის შემცირებები. ამათგან, ყველაზე მეტი -საბავშვო ბაღებში, ეკონომიის ხარჯზე, არის შესაძლებლობა შემცირება მოხდეს 100000 ლარით. ამასთან, თუ ახალი ბაღები ჩაბარდება დროულად, მაშინ ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოსაძებნი იქნება 30000-35000 ლარი ახალი ავეჯის შესაძენად. გარდა ამისა, მან აღნიშნა, რომ საკითხის მსვლელობის დროს არ არის გამორიცხული კიდევ დაემატოს ბიუჯეტში შესატანი ცვლილება, როგორცაა გარე განათების მომსახურებისთვის მუნიციპალიტეტის მიერ მანქანის შეძენა, რასთან დაკავშირებითაც მოსაძიებელი იქნება თანხა 150000 ლარის ფარგლებში.

საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარის **ემზარ თევდორაძის** აზრით, კარგი იქნება აქცენტი გადაიტანონ საბავშვო ბაღებში გარე სათამაშოების მოწყობაზე, სასრიალოები იქნება ეს თუ სხვა ატრაქციონები.

ბიუროს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1) „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 23 დეკემბრის N19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისია.

2) დადგენილების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოთ საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიას, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“, „ქართული ოცნება - კონსერვატორები“, „ქართული ოცნება - მრეწველები“, „ქართული ოცნება - მწვანეები“, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“. 3)პროექტი კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 ივლისის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4)მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 9 წევრი.

მომხრე ბიუროს 9 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეორე საკითხი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის ივნისის თვის შესრულების ანგარიში სხდომას გააცნო მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების განყოფილების უფროსმა **თამაზ იმედაიშვილმა**.

მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** განმარტა, რომ მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის ივნისის თვის შესრულების კუთხით, ზოგადად, სიტუაცია მიმდინარეობს დადებითად, მიუხედავად პანდემიისა და ჩავარდნებისა, რასაც ქვეყნის მასშტაბით ქონდა ადგილი, შესრულება არის 53,8%, რაც ჯარიმების და სანქციების ხარჯზეა, რომლის მიხედვითაც ივნისის თვეში შემოვიდა 495000 ლარი. მუნიციპალიტეტის მერი ფიქრობს, რომ ზოგადად, მდგომარეობა ნორმალურია. მან იქვე აღნიშნა, რომ კვლავ ჩამორჩენაა არაფინანსური აქტივების კლების კუთხით, მაგრამ იმედოვნებს, რომ ჯარიმების ხარჯზე სიტუაცია დარეგულირდება. ამასთან, სახელმწიფო აღებულ ვალდებულებებს, გარდა დღგ-სა, შეასრულებს. მუნიციპალიტეტის მერს მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ დაწესდეს რეგულაციები როგორც დასუფთავების კუთხით, ასევე სხვა მიმართულებებითაც.

საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარის **ემზარ თევდორაძის** აზრით, კრგი იქნება, თუ მიწის იმ მეპატრონეებს, რომლებიც არ უვლიან კუთვნილ მიწის ფართობებს, რის შედეგადაც ნაკვეთები გავერანებულია და ეკალ-ბარდებითაა დაფარული, დაეკისროთ გარკვეული გადასახადი.

ბიუროს წევრებმა მადლობა გადაუხადეს მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს სამსახურეობრივი მოვალეობის სათანადოდ და კეთილსინდისიერად შესრულებისათვის.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება ცნობად იქნას მიღებული ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ივნისის თვის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში.

დღის წესრიგის მესამე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის N37 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის უფროსმა **მაგული კუნჭულიამ**. მან აღნიშნა, რომ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის N37 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge ვებგვერდი, 27/12/2017; სარეგისტრაციო კოდი 010206002.35.112.016319) უნდა შევიდეს ცვლილება და დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული დებულების მე-14 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ მუხლი 14. მერის წარმომადგენელი

1. მერის წარმომადგენელი არის ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოსამსახურე, ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირი, რომელსაც „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მერი . 2. მერის წარმომადგენელი თავის უფლებამოსილებას ახორციელებს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულში.

3. მერის წარმომადგენელზე სამსახურებრივ ზედამხედველობას ახორციელებს მერი.

4. მერის წარმომადგენელი:

ა) მერს წარუდგენს ინფორმაციას შესაბამის ტერიტორიაზე არსებული პრობლემებისა და მათი შესაძლო გადაწყვეტის გზების შესახებ;

ბ) მერის დავალებით უზრუნველყოფს სტატისტიკურ და სხვა მონაცემთა შეგროვებას;

გ) უზრუნველყოფს ადგილობრივი თვითმმართველობის სამართლებრივი აქტების მოსახლეობისათვის გაცნობას;

დ) მერის დავალებით ორგანიზებას უწევს დასახლებაში მოსახლეობის გამოკითხვის ჩატარებას;

ე) მერს წარუდგენს წინადადებებს ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიის ზონებად დაყოფის, მათი საზღვრების დადგენისა და შეცვლის, გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ;

ვ) „მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ მუნიციპალიტეტის წარმომადგენელს აწვდის ყველა საჭირო ინფორმაციას, ამავე კანონით გათვალისწინებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემის მიზნით;

ზ) „სამოქალაქო აქტების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი ვადების დაცვით მუნიციპალიტეტის მერის მიერ განსაზღვრულ ცნობების გაცემაზე უფლებამოსილ პირს აწვდის ინფორმაციას:

ზ.ა) დაბადების რეგისტრაციის არსებობის ან სამედიცინო დაწესებულების გარეთ დაბადების შესახებ სამედიცინო ცნობის გაცემის უფლებამოსილების მქონე პირის დახმარების გარეშე ბავშვის დაბადების თაობაზე;

ზ.ბ) პირის გარდაცვალების თაობაზე.

თ) მუნიციპალიტეტის მერის მიერ განსაზღვრულ ცნობების გაცემაზე უფლებამოსილ პირს ხელს უწყობს ტექნიკური და მეთოდური დახმარების გაწევით შემდეგი ცნობებისა და ოქმების მოსამზადებლად:

თ.ა) „საქართველოს ტერიტორიაზე ხე-ტყის მოძრაობის წესებისა და მრგვალი ხე-ტყის (მორის) პირველადი გადამუშავების ობიექტის (სახერხი საამქროს) ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 10 იანვრის №46 დადგენილების მე-8 მუხლის შესაბამისად ხე-მცენარეების ადგილწარმოშობის შესახებ;

თ.ბ) საქონლის ადგილწარმოშობის შესახებ;

თ.გ) პირის/პირების კონკრეტულ მისამართზე ცხოვრების ფაქტის დადასტურების (გარდა მოქალაქეობის მიღებასთან დაკავშირებით) შესახებ;

თ.დ) „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 31 მარტის №71 ბრძანების 85-ე მუხლის შესაბამისად, მამკვიდრებლის კუთვნილი უძრავი ქონების ფლობის ან სარგებლობის შესახებ;

ი) მერის წარმომადგენელი პასუხისმგებელია მის მიერ მოწვდილ ყველა სახის ინფორმაციის სისწორეზე;

კ) მერის დავალებით ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს.

5. მერის წარმომადგენელი ანგარიშვალდებულია მერის წინაშე.“

ბიუროს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1) „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის N37 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია.

2) დადგენილების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოთ საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიას, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“, „ქართული ოცნება - კონსერვატორები“, „ქართული ოცნება - მრეწველები“, „ქართული ოცნება - მწვანეები“, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“. 3) პროექტი კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 ივლისის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

3) მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის უფროსი) მაგული კუნჭულია.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 9 წევრი.

მომხრე ბიუროს 9 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეოთხე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანებისთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა **გიორგი ნაჭყებია**მ. მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის, გვიმბალაურის ადმინისტრაციული შენობის პირველი სართულის N510.83 კვ.მ.; N7-18.03 კვ.მ.; და N8 -8.60 კვ.მ.ფართები; მეორე სართულის N1-71.01 კვ.მ; N3 -49.75კვ.მ.; N4 7.88 კვ.მ; N7-16.01 კვ.მ; N8-156.74 კვ.მ ფართები და მესამე სართულის მთლიანი 161.01 კვ.მ. ფართი (ს/კ 27.08.46.002)) ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანებისათვის“ (ს/ნ 233731478) სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით უსასყიდლოდ უზუფრუქტის ფორმით გადაცემა არის მიზანშეწონილი, ვინაიდან ა(ა)იპი-ს დირექტორი დავით წერეთელი მიმდინარე წლის 7 თებერვლის N29 მიმართვაში აღნიშნავს, რომ სარგებლობის უფლებით მოთხოვნილი უძრავი ქონება ა(ა)იპი-ს ესაჭიროება მისთვის წესდებით განსაზღვრული ფუნქციების განსახორციელებლად, კერძოდ შემოქმედებითი საქმიანობისათვის.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 122-ე მუხლის მე-4 და მე-6 ნაწილის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო უფლებამოსილია, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით, მუნიციპალიტეტის ქონება აუქციონის გარეშე უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, გადასცეს მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს.

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1) „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანებისთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია.

2) განკარგულების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოთ საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიას, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“, „ქართული ოცნება - კონსერვატორები“, „ქართული ოცნება - მრეწველები“, „ქართული ოცნება - მწვანეები“,

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“. 3)პროექტი კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 ივლისის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4)მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახური უფროსი გიორგი ნაჭყებია.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 9 წევრი.

მომხრე ბიუროს 9 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეხუთე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებისთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა **გიორგი ნაჭყებამ**. მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს, 2013 წლის 12 სექტემბერს, საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებასთან გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის შესახებ მემორანდუმი. აღნიშნული სამართლებრივი აქტის თანახმად, (რომელიც მოქმედებს 2023 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით) მუნიციპალიტეტი ვალდებულია გამოყოს ფართი პროგრამით გათვალისწინებული საქმიანობის ჯეროვანი გამოყენებისათვის. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 122-ე მუხლის მე-4 და მე-5 ნაწილის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო უფლებამოსილია, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით, ა(ა)იპ „საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებას“ (ს/კ 202051536) ორი წლის ვადით, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით გადასცეს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება (ქ. ლანჩხუთში, ნინოშვილის ქ. N37-ში მდებარე N1 შენობის (ს.კ 27.06.52.141) მეორე სართულზე არსებული 14,38 კვ.მ N16 ფართი).

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1)„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებისთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია. 2)განკარგულების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოს საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიას, საკრებულოს სოციალურ საკითხთა,

განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“, „ქართული ოცნება - კონსერვატორები“, „ქართული ოცნება - მრეწველები“, „ქართული ოცნება - მწვანეები“, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“. 3) პროექტი კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 ივლისის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4) მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახური უფროსი გიორგი ნაჭყებია.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 8 წევრი.

მომხრე ბიუროს 8 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეექვსე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამის განხორციელების წესის დადგენის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის იურიდიული სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა **გულინა კუნჭულიამ**. მან აღნიშნა, რომ მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამა წარმოადგენს მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო დაგეგმვის, პროექტების განხორციელების და მონიტორინგის პროცესში მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმას, რომელიც ორიენტირებულია მოქალაქეთა შესაძლებლობის გაძლიერებისკენ, რათა მათ დამოუკიდებლად და საკუთარი პასუხისმგებლობით უპასუხონ ადგილობრივი მნიშვნელობის საჭიროებებს, მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 85-ე მუხლის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის ორგანოები და მუნიციპალიტეტის ორგანოების თანამდებობის პირები ვალდებული არიან, ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის უზრუნველსაყოფად შექმნან ორგანიზაციული და მატერიალურ-ტექნიკური პირობები მოქალაქეთა მიღების, მოქალაქეებთან შეხვედრების მუნიციპალიტეტის ორგანოების საქმიანობაში. მათ შორის, კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომებში, მოქალაქეთა მონაწილეობისა და გადაწყვეტილებათა მიღების პროცესის გამჭვირვალობისათვის. მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია, ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ამ კანონით განსაზღვრული ფორმების გარდა, შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვროს ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის სხვა ფორმები, რომლებიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას.

პროგრამისათვის გამოყოფილი თანხა გათვალისწინებულ იქნება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტში.

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

- 1) „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამის განხორციელების წესის დადგენის შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი შეტანილ იქნას ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 ივლისის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.
- 2) მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩუთის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ეკა გუჯაბიძე.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 8 წევრი.

მომხრე ბიუროს 8 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეშვიდე საკითხი: ლანჩუთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის მიერ 2019 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში სხდომას გააცნო მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა **ია ჩხაიძემ**. მან აღნიშნა, რომ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის მერიის, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის მიერ, ერთი წლის განმავლობაში განხორციელდა ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული ოთხი პროგრამის, თხუთმეტი ქვეპროგრამის, მერიის დებულებითა და სამსახურის დებულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულება.

სამსახურს, 2019 წელს, მერის დავალებით განსახილველად და შესასრულებლად დაეწერა წერილები, რომელზეც მოხდა შესაბამისი რეაგირება - მომზადდა საპასუხო წერილები, მოხსენებითი ბარათები, დაიგეგმა ღონისძიებები და განხორციელდა პროგრამებით განსაზღვრული ვალდებულებები.

სამსახურის მიერ, განათლების ხელშეწყობისა და კულტურის ღონისძიებების პროგრამებიდან განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

2019 წლის 02 თებერვალს, საქართველოს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის და სსიპ ქალაქ ლანჩუთის N3 საჯარო სკოლის ერთობლივ ლიდერთა სკოლის პროექტში - „50 ლიდერი მოსწავლე“, მონაწილეობა მიიღეს სსიპ ქალაქ ლანჩუთის N3 საჯარო სკოლის მერვე კლასის მოსწავლეებმა: მარიამ წილოსანმა და მარიამ ბაბუნაშვილმა. სამსახურმა უზრუნველყო პროექტის თანადაფინანსება 340 (სამას ორმოცი) ლარის ოდენობით, 2019 წლის ლანჩუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის განათლების ხელშეწყობის პროგრამის, ინტელექტუალური და შემეცნებითი პროექტების თანადაფინანსების ქვეპროგრამიდან.

2019 წლის 2-3 თებერვალს, ქ. ქუთაისში, ბავშვებისა და ზრდასრული მოსახლეობის მეტყველების დარღვევათა ადრეული დიაგნოსტიკის მიზნით, განათლების

განვითარების და დასაქმების ცენტრმა ჩაატარა უფასო გასინჯვების აქცია. აღნიშნულ აქციაში მონაწილეობა მიიღო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სკოლის მოსწავლეებმა და საბავშვო ბაღის აღსაზრდელებმა. (სულ: 26). მოსწავლეების, აღსაზრდელების და მათი მშობლების ქ. ქუთაისში ტრანსპორტირების მიზნით, სამსახურმა უზრუნველყო 2019 წლის 2 თებერვალს ორი მიკროავტობუსის, ხოლო 3 თებერვალს, ორი მიკროავტობუსის გამოყოფა. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის, განათლების ხელშეწყობის პროგრამის (კოდი 04 03), ტრანსპორტირებით დახმარების ქვეპროგრამიდან განხორციელდა თანხის გადარიცხვა 420 ლარის ოდენობით.

15-16 თებერვალს, ჩიბათის საჯარო სკოლის მეთორმეტე კლასის მოსწავლეებმა განახორციელეს შემეცნებით-საგანმანათლებლო პროექტი - „განავითარე შენი ქვეყანა,“ რომლის ფარგლებში დაბა ბაკურიანში, დაიგეგმა აქტივობა „იყავი ჯანმრთელი და ისუნთქე სუფთა ჰაერი“. აქტივობის ჩასატარებლად, სამსახურმა უზრუნველყო მოსწავლეების ტრანსპორტირება დაბა ბაკურიანში, ერთი მიკროავტობუსით. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის, განათლების ხელშეწყობის პროგრამის (კოდი 04 03), ტრანსპორტირებით დახმარების ქვეპროგრამიდან 493,50 ლარის ოდენობით.

2019 წლის 16 თებერვალს, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში ნიკო კეცხოველის სასკოლო პრემიის ფარგლებში გაიმართა კონკურსი, თემაზე - „მდგრადი განვითარების მიზნები“. აღნიშნული კონკურსის ნახევარფინალისტები გახდნენ ღრმადელის საჯარო სკოლის მოსწავლეები, რომელთაც სამსახურმა გადასცა სიმბოლური საჩუქრები (წიგნები: ვეფხისტყაოსანი, ბიბლია, სიბრძნის ენციკლოპედია და მსოფლიო მუზეუმები - „ლუვრი“. 150 ლარის ღირებულების), ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული, განათლების ხელშეწყობის პროგრამის, ინტელექტუალური და შემეცნებითი პროექტების თანადაფინანსების ქვეპროგრამიდან.

2019 წლის 19-20-21 აპრილს. სსიპ ქალაქ ლანჩხუთის N3 საჯარო სკოლამ და საქართველოს მილსადენის კომპანია BP-ა, ერთობლივად განახორციელეს საგანმანათლებლო პროექტი „ჩვენ და უცხო ენები“ , რომელშიც მონაწილეობდა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ყველა საჯარო სკოლა. სამსახურმა მიმდინარე წლის თებერვლის თვეში, უზრუნველყო ღონისძიების თანადაფინანსება 600 (ექვსასი) ლარის ოდენობით.

2019 წლის 8 მარტს, ქალთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების წარმატებულ და ღვაწლმოსილ ქალბატონ მასწავლებლებს, გადაეცათ ტკბილეულის სასაჩუქრე ნაკრები და ყვავილები. სულ 450, 80 ლარის ღირებულების ტკბილეული და 140 ლარის ღირებულების თაიგული. დაფინანსება განხორციელდა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული განათლების ხელშეწყობის პროგრამის (პროგრამული კოდი: 04 03), განათლების სფეროში მოღვაწე წარმატებული ადამიანების წახალისების ქვეპროგრამიდან.

3 მარტს, დედის დღესთან დაკავშირებით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლათა გაერთიანებასთან არსებულ, მ. ორაგველიძის სახელობის სამუსიკო სკოლაში ჩატარდა სადღესასწაულო ღონისძიება. აღნიშნული დღესასწაულის

მისალოცად, სამუსიკო სკოლის პედაგოგებს, გადაეცათ 24 ერთეული ყვავილების თაიგული, 168 ლარის ღირებულების.

4 მარტს, ჩიბათის საჯარო სკოლის მასწავლებელს ვლადიმერ აფხაზავას რომელიც გახდა გლობალური მასწავლებლის კონკურსის ფინალისტი, (ათეულის წევრი) გადაეცა ფულადი ჯილდო ხელზე ასაღები 1 000 (ათასი) ლარის ოდენობით (სულ: 1275 ლარი). თანხა გაიცა განათლების ხელშეწყობის პროგრამის (პროგრამული კოდი: 04 03), განათლების სფეროში მოღვაწე წარმატებული ადამიანების წახალისების ქვეპროგრამიდან.

2019 წლის აპრილში, სსიპ ქალაქ ლანჩხუთის N1 საჯარო სკოლამ განახორციელა პროექტი „მოდით ვასწავლოთ გოგონებს“, რომლის დაფინანსების მიზნით სკოლამ მოიპოვა გრანტი მშვიდობის კორპუსისგან 2070 (ორი ათას სამოცდაათი) ლარის ოდენობით. დამატებით, მათ ესაჭიროებოდათ თანადაფინანსება 1000 (ათასი) ლარის ოდენობით. თანხა გაიცა - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის სოც. კულტურულ ღონისძიებათა პროგრამებით გათვალისწინებული განათლების ხელშეწყობის პროგრამის (კოდი 04 03), ინტელექტუალური და შემეცნებითი პროექტების თანადაფინანსების ქვეპროგრამიდან.

2019 წლის 28 აპრილს, აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულზე გაიმართა ტრადიციული სახალხო ღონისძიება „ლელო“, რომლის დაფინანსების მიზნით თანხა გამოიყო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული კულტურის ღონისძიებების (კოდი 05 02 02) პროგრამის, კულტურული ღონისძიებების ორგანიზების ქვეპროგრამიდან , სულ: 8 868 ლარი. ვინაიდან, მიმდინარე წლის 10 მარტს „ლელოს“ მიენიჭა არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი, კულტურული მემკვიდრეობისადმი დაინტერესების ზრდისა და პოპულარიზაციის მიზნით დამზადდა ბუკლეტები ლელოზრთის თემატიკით, სულ თანხა: 270 ლარის ღირებულების. თანხა გავიდა: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის ღონისძიებების პროგრამის (კოდი 05.02.02) კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და პოპულარიზაციის ქვეპროგრამიდან. ზემოაღნიშნულ ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ა(ა)ი.პ კულტურის ცენტრთან არსებულმა ანსამბლებმა „ნართი“ და „ამაღლება“, ასევე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის, ჯუმბერ დუნდუას სახელობის ქართული ხალხური ცეკვების ანსამბლმა „გურია“-მ. დაფინანსდა ანსამბლების ტრანსპორტირება, სულ: 960 ლარის ღირებულების.

2019 წლის 9 მაისს, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ჩატარდა 2018-2019 სასწავლო წლის „ლანჩხუთის ეტალონი მოსწავლის“ გამოსავლენი ღონისძიება. ხელშეკრულება გაფორმდა შპს „ეტალონი მედია“-სთან. შემსრულებლის მიერ გაწეული მომსახურების ღირებულება განისაზღვრა 2960 (ორი ათას ცხრაას სამოცი) ლარით. თანხა გავიდა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის, სოც. კულტურულ ღონისძიებათა პროგრამებით გათვალისწინებული, განათლების ხელშეწყობის პროგრამის (კოდი 04 03) ინტელექტუალური და შემეცნებითი პროექტების თანადაფინანსების ქვეპროგრამიდან. აღნიშნული კონკურსის ფინალისტებს (I,II,III ადგილი) გადაეცათ წიგნები საჩუქრად. სულ: 193,47 ლარის ღირებულების. 2018-2019 სასწავლო წლის „ლანჩხუთის ეტალონი მოსწავლე“, ქვემო აკეთის საჯარო სკოლის მოსწავლე, ანა გეგიძე წახალისდა ფულადი ჯილდოთი, 500 ლარის ოდენობით. თანხა გავიდა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული განათლების ხელშეწყობის პროგრამის (კოდი 04

03), განათლების სფეროში მოღვაწე წარმატებული ადამიანების წახალისების ქვეპროგრამიდან.

2019 წლის, 18-19 მაისს, ქალაქ თბილისში ჩატარდა ევროპის ღია ჩემპიონატი, სამეჯლისო-სპორტულ ცეკვებში, „კავკასიის თასი“-2019. აღნიშნულ კონკურსში მონაწილეობა მიიღეს და საპრიზო პირველი ადგილი დაიკავეს, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ლესის ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრებმა და-ძმამ ლუკა და თეკლე გოგუაძეებმა. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული კულტურის ხელშეწყობის პროგრამის (კოდი 05 02), კულტურის და ხელოვნების სფეროში მოღვაწე წარმატებული ადამიანებისა და შემოქმედებითი კოლექტივების წახალისების ქვეპროგრამიდან განხორციელდა მათი წახალისება თითოეულის, 200 ლარის ოდენობით.

2019 წლის 24 მაისს ლანჩხუთში ჩატარდა, „ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის“ საკონკურსო პროექტი „ახალგაზრდა ხელოვანი“, გურიის რეგიონის საჯარო სკოლების მოსწავლეების მონაწილეობით. პროექტში გაიმარჯვეს ლანჩხუთელმა ახალგაზრდებმა - ახალგაზრდა პოზაიკოსი 4 მონაწილე და ახალგაზრდა მხატვარი-2 კონკურსანტი. გამარჯვებულები დაისვენებენ რაჭაში „შაორის“ ბანაკში.

2019 წლის 25 ივნისს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრში გაიმართა მარიკა ორაგველიძის სახელობის სამუსიკო სკოლის საიუბილეო სადამო.სკოლას საჩუქრად გადაეცა წიგნი-„მუსიკა-ილუსტრირებული ისტორია“,სასაჩუქრე პარკით ,რომლის ღირებულებამ შეადგინა 64, 40 ლარი. თანხა გავიდა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის, კულტურის ღონისძიების პროგრამიდან(კოდი 05 02 02).

2019 წელს, ხაჯალიის საჯარო სკოლის დირექტორმა ხათუნა აფხაზავამ გაიმარჯვა ნატოსა და ევროკავშირის საინფორმაციო ცენტრის, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტროს ერთობლივ პროექტების კონკურსში, „მასწავლებელი- მეგზური ევროპისკენ“. ის ასევე მიწვეული იყო ესტონეთში სასწავლო ვიზიტით, სადაც გაცნო ესტონურ გამოცდილებას და მოიპოვა შესაბამისი სერტიფიკატი. ხათუნა აფხაზავა წახალისდა ფულადი ჯილდოთი 625 ლარის ოდენობით. თანხა გავიდა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული განათლების ხელშეწყობის პროგრამის (კოდი 04.03), განათლების სფეროში მოღვაწე წარმატებული ადამიანების წახალისების ქვეპროგრამიდან.

2019 წელს სსიპ ქალაქ ლანჩხუთის N1 საჯარო სკოლამ განახორციელა პროექტი „მე ვირჩევ განვითარებას“. პროექტის თანადაფინანსების მიზნით გამოყო თანხა 1000 (ათასი) ლარის ოდენობით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის სოც. კულტურულ ღონისძიებათა პროგრამებით გათვალისწინებული, განათლების ხელშეწყობის პროგრამის (კოდი 04 03) , ინტელექტუალური და შემეცნებითი პროექტების თანადაფინანსების ქვეპროგრამიდან.

2019 წელს სუფსის სამუსიკო სკოლის პედაგოგის, ნინო მოისწრაფეშვილის აღსაზრდელები, სენაკის მე-7 საერთაშორისო ფესტივალის დიპლომების მფლობელები გახდნენ, ხოლო თავად პედაგოგ ნინო მოისწრაფეშვილს გადაეცა საქართველოს ხელოვანთა კავშირის მიერ ორგანიზებული, კლასიკური მუსიკის მე-12 ეროვნული კონკურს-ფესტივალ „მომავლის ვარსკვლავები“-ს საპატიო დიპლომი. ასევე, სუფსის

სამუსიკო სკოლის პედაგოგის ჯამბულათ ჯიბლამის აღსაზრდელებს, სენაკის მე-7 საერთაშორისო ფესტივალზე ლაურეატების წოდება მიენიჭათ. პედაგოგებს გადაეცათ თანხა 125 (ას ოცდახუთი) ლარის ოდენობით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის, კულტურის ღონისძიებები პროგრამის (კოდი 05.02.02), კულტურის და ხელოვნების სფეროში მოღვაწე წარმატებული ადამიანებისა და შემოქმედებითი კოლექტივების წახალისების ქვეპროგრამიდან.

2019 წლის 19 აგვისტოს, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის კურორტ ბახმაროში, ჩატარდა რეგიონალური კულტურული ღონისძიება, ელექტრონული მუსიკის ფესტივალი - "ბახმარო სან სეტ ფესტი". ღონისძიება დაფინანსდა 800 (რვაასი) ლარის ოდენობით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის სოც. კულტურულ ღონისძიებათა პროგრამების, კულტურის ღონისძიებების პროგრამის (კოდი 05.02.02), კულტურული პროექტების თანადაფინანსების ქვეპროგრამიდან.

2019 წლის 3 სექტემბრიდან 9 სექტემბრის ჩათვლით, სსიპ ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრმა, აბაშის მუნიციპალიტეტში, წყემის ნაკრძალში განახორციელა პროექტი „თავგადასავალი 2019“. აღნიშნულ პროექტში მონაწილეობა მიიღო სსიპ ქალაქ ლანჩხუთის N1 საჯარო სკოლის 14 მოსწავლემ. სამსახურმა უზრუნველყო მოსწავლეების ტრანსპორტირება აბაშის მუნიციპალიტეტში. ტრანსპორტირება განხორციელდა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის სოც. კულტურულ ღონისძიებათა პროგრამების კულტურის ღონისძიებების პროგრამის (კოდი 05.02.02), ტრანსპორტირებით დახმარების ქვეპროგრამიდან. (თანხა 237 ლარი).

2019 წლის 26 სექტემბერს, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში, ნიგვზიანის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე ეგნატე ნინოშვილის სახელობის მემორიალურ მუზეუმში ჩატარდა ქართული ფოლკლორის საღამო. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ ქალაქ ბოსტონის ქართული გუნდი „ბორჯღალი“, ა(ა)იპ კულტურის დაწესებულებათა გაერთიანებასთან არსებული ანსამბლები: „მხედრები“, „აცაურა“ და „ხელხვავი“. კულტურის სფეროში მოღვაწე ადამიანების ღონისძიებაში ჩართულობის მიზნით, განხორციელდა მათი ტრანსპორტირება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ნიგვზიანის ადმინისტრაციულ ერთეულში, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის სოც. კულტურულ ღონისძიებათა პროგრამებით გათვალისწინებული კულტურის ღონისძიებების პროგრამის (კოდი 05.02.02) ტრანსპორტირებით დახმარების ქვეპროგრამიდან, სულ 54 ლარის ოდენობით.

2018-2019 სასწავლო წელს, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სკოლადამთავრებული, ოქროს მედალოსანი, 18 მოსწავლის წახალისების მიზნით, გამოიყო თანხა თითოეულზე 300 (სამასი) ლარის ოდენობით, სოც. კულტურულ ღონისძიებათა პროგრამების, განათლების ხელშეწყობის პროგრამის (კოდი 04 03), განათლების სფეროში მოღვაწე წარმატებული ადამიანების წახალისების ქვეპროგრამიდან, სულ 5400 ლარი.

2018-2019 სასწავლო წელს, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სკოლადამთავრებულ ვერცხლის მედალოსანი 4 მოსწავლის წახალისების მიზნით, გამოიყო თანხა თითოეულზე 200 (ორასი) ლარის ოდენობით, სოც. კულტურულ ღონისძიებათა პროგრამების, განათლების ხელშეწყობის პროგრამის (კოდი 04 03), განათლების სფეროში მოღვაწე წარმატებული ადამიანების წახალისების ქვეპროგრამიდან. სულ 400 ლარი.

2019 წლის 9 ნოემბერს, სსიპ ქალაქ ლანჩხუთის N3 საჯარო სკოლამ, ქალაქ თბილისში, განახორციელა კულტურულ-საგანმანათლებლო პროექტი „ილაპარაკეთ ... ოღონდ

ქართულად, ოღონდ ქართულად ილაპარაკეთ!” დაფინანსდა ტრანსპორტირება, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის სოც. კულტურულ ღონისძიებათა პროგრამების, კულტურის ღონისძიებების პროგრამის (კოდი 05.02.02) ტრანსპორტირებით დახმარების ქვეპროგრამიდან, 516,75 (ხუთას თექვსმეტი ლარი და 75 თეთრი) ლარის ოდენობით.

2019 წლის 11 ნოემბერს, ქალაქ ოზურგეთში გაიმართა შეხვედრა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ხელოვნების სფეროს წარმომადგენლებთან, საავტორო უფლებებთან დაკავშირებით. დაფინანსდა ტრანსპორტირება, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის სოც. კულტურულ ღონისძიებათა პროგრამების, კულტურის ღონისძიებების პროგრამის (კოდი 05.02.02) ტრანსპორტირებით დახმარების ქვეპროგრამიდან. თანხა: 124,5 (ას ოცდაოთხი ლარი და 50 თეთრი) ლარი.

2019 წელს ერთიან ეროვნულ გამოცდებზე დიმიტრი პატარაიამ მოიპოვა 100% -იანი გრანტი და გახდა შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის სტუდენტი. დიმიტრი პატარაიას გადაეცა ფულადი ჯილდო 1000 (ათასი) ლარის ოდენობით. თანხა გამოიყო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის განათლების ხელშეწყობის პროგრამის (კოდი 04 03) განათლების სფეროში მოღვაწე წარმატებული ადამიანების წახალისების ქვეპროგრამიდან.

სამსახურის მიერ, სპორტის ხელშეწყობისა და ახალგაზრდული ღონისძიებების მხარდაჭერის პროგრამებიდან განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

წარმატებული ახალგაზრდა, ვეტერანი და ღვაწლმოსილი სპორტსმენებისა და მწვრთნელების წახალისების ქვეპროგრამიდან:

2019 წლის 2-4 თებერვალს, ქ. ოზურგეთში გაიმართა საქართველოს პირველობა „ბერძნულ-რომაულ“ სტილით ჭიდაობაში, ახალგაზრდებს შორის (23 წლამდე), სადაც, ზაზა ღლონტის მოსწავლემ, გიორგი შოთაძემ დაიკავა მესამე ადგილი. ზაზა ღლონტი, როგორც წარმატებული მწვრთნელი, წახალისდა 100 (ასი) ლარის ოდენობით. თანხა გაიცა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის, 2019 წლის სპორტული ღონისძიებების პროგრამის (05.01.02), წარმატებული ახალგაზრდა, ვეტერანი და ღვაწლმოსილი სპორტსმენებისა და მწვრთნელების ფულადი ჯილდოთი წახალისების ქვეპროგრამიდან.

2-4 თებერვალს, ქ. ოზურგეთში გაიმართა საქართველოს პირველობა „ბერძნულ-რომაულ“ სტილით ჭიდაობაში, ახალგაზრდებს შორის (23 წლამდე), სადაც, გიორგი შოთაძემ დაიკავა მესამე ადგილი. გიორგი შოთაძე წახალისდა 200 (ორასი) ლარის ოდენობით. თანხა გაიცა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის, 2019 წლის სპორტული ღონისძიებების პროგრამის (05.01.02), წარმატებული ახალგაზრდა, ვეტერანი და ღვაწლმოსილი სპორტსმენებისა და მწვრთნელების ფულადი ჯილდოთი წახალისების ქვეპროგრამიდან.

12-14 მარტს, ქ. ქუთაისში, გაიმართა საქართველოს პირველობა „ბერძნულ-რომაულ“ სტილით ჭიდაობაში, ახალგაზრდებს შორის (20 წლამდე), სადაც, გიორგი შოთაძემ დაიკავა პირველი ადგილი და მოიპოვა ჩემპიონობა. გიორგი შოთაძე წახალისდა 400 (ოთხასი) ლარის ოდენობით. თანხა გაიცა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის, 2019 წლის სპორტული ღონისძიებების პროგრამის (05.01.02), წარმატებული ახალგაზრდა, ვეტერანი

და ღვაწლმოსილი სპორტსმენებისა და მწვრთნელების ფულადი ჯილდოთი წახალისების ქვეპროგრამიდან.

12-14 მარტს, ქ. ქუთაისში, გაიმართა საქართველოს პირველობა „ბერძნულ-რომაულ“ სტილით ჭიდაობაში, ახალგაზრდებს შორის (20 წლამდე), სადაც, ზაზა ღლონტის მოსწავლემ, გიორგი შოთაძემ დაიკავა პირველი ადგილი და მოიპოვა ჩემპიონობა. ზაზა ღლონტი, როგორც წარმატებული მწვრთნელი, წახალისდა 300 (სამასი) ლარის ოდენობით. თანხა გაიცა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის, 2019 წლის სპორტული ღონისძიებების პროგრამის (05.01.02), წარმატებული ახალგაზრდა, ვეტერანი და ღვაწლმოსილი სპორტსმენებისა და მწვრთნელების ფულადი ჯილდოთი წახალისების ქვეპროგრამიდან.

24 მარტს, გურიას ვეტერან და წარსულში წარმატებულ ფეხბურთელს, ნოშრევან ნარიაშვილს, შეუსრულდა 85 წელი. აღნიშნულ დღესთან დაკავშირებით, ნოშრევან ნარიაშვილი წახალისდა 300 (სამასი) ლარის ოდენობით. თანხა გაიცა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის, 2019 წლის სპორტული ღონისძიებების პროგრამის (05.01.02), წარმატებული ახალგაზრდა, ვეტერანი და ღვაწლმოსილი სპორტსმენებისა და მწვრთნელების ფულადი ჯილდოთი წახალისების ქვეპროგრამიდან.

31 მარტს, გურიას ვეტერან და წარსულში წარმატებულ ფეხბურთელს, თამაზ კვიციანიას, შეუსრულდა 80 წელი. აღნიშნულ დღესთან დაკავშირებით, თამაზ კვიციანია წახალისდა 300 (სამასი) ლარის ოდენობით. თანხა გაიცა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის, 2019 წლის სპორტული ღონისძიებების პროგრამის (05.01.02), წარმატებული ახალგაზრდა, ვეტერანი და ღვაწლმოსილი სპორტსმენებისა და მწვრთნელების ფულადი ჯილდოთი წახალისების ქვეპროგრამიდან.

24-26 მარტს ქ. ხაშურში გაიმართა საქართველოს პირველობა ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ჭაბუკთა შორის, სადაც ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სახელით მოასპარეზე თამაზ ღლონტმა 45 კგ წონით კატეგორიაში დაიკავა პირველი საპრიზო ადგილი და წახალისდა 400 (ოთხასი) ლარით, ამავე ტურნირზე 48კგ წონით კატეგორიაში მონაწილეობდა ლანჩხუთის საჭიდაო სკოლის მეორე აღსაზრდელი ოთარ ჯანელიძე, რომელმაც დაიკავა მესამე საპრიზო ადგილი და წახალისდა 200 (ორასი) ლარით. ორივე აღსაზრდელის პირადი მწვრთნელია, დავით მჟავია და წახალისდა პროგრამის შესაბამისად 300 (სამასი) ლარით და 100 (ასი) ლარით. თანხა გაიცა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის, 2019 წლის სპორტული ღონისძიებების პროგრამის (05.01.02), წარმატებული ახალგაზრდა, ვეტერანი და ღვაწლმოსილი სპორტსმენებისა და მწვრთნელების ფულადი ჯილდოთი წახალისების ქვეპროგრამიდან.

5-6 აპრილს ქ. რუსთავეში გაიმართა საქართველოს პირველობა ბერძნულ-რომაულ სტილით ჭიდაობაში ჭაბუკთა შორის, სადაც ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სახელით მოასპარეზე, თამაზ ღლონტმა, 44კგ წონით კატეგორიაში დაიკავა პირველი ადგილი და წახალისდა - 400 (ოთხასი) ლარით, ხოლო მისი პირადი მწვრთნელი, დავით მჟავია - 300 (სამასი) ლარით. თანხა გაიცა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის, 2019 წლის სპორტული ღონისძიებების პროგრამის (05.01.02), წარმატებული ახალგაზრდა, ვეტერანი და ღვაწლმოსილი სპორტსმენებისა და მწვრთნელების ფულადი ჯილდოთი წახალისების ქვეპროგრამიდან.

31 მაისს „გურიას“ დამსახურებული ვეტერანი ფეხბურთელები ვალერიან წილოსანი და შოთა პატარაია, (რომლებსაც 27 მაისს და 19 ივნისს, უსრულდებოდათ 80 და 70

საიუბილეო წელი დაბადებიდან.) პროგრამის შესაბამისად წახალისდნენ ფულადი ჯილდოთი - 300 (სამასი)-300 (სამასი) ლარით. თანხა გაიცა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის, 2019 წლის სპორტული ღონისძიებების პროგრამის (05.01.02), წარმატებული ახალგაზრდა, ვეტერანი და ღვაწლმოსილი სპორტსმენებისა და მწვრთნელების ფულადი ჯილდოთი წახალისების ქვეპროგრამიდან.

2019 წლის 3-6 ივნისს სპორტული ცენტრის აღზრდილმა, გიორგი შოთაძემ, ესპანეთის, ქ. პონტევედრაში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე „ბერძნულ-რომაულ“ სტილით ჭიდაობაში, ახალგაზრდებს შორის (20 წლამდე), დაიკავა პირველი ადგილი და მოიპოვა ჩემპიონობა. ააორტსაააა წახალისდა 600 (ექვსასი) ლარით. ასევე წახალისდა მისი პირადი მწვრთნელი ზაზა ლლონტი - 500 (ხუთასი) ლარით. თანხა გაიცა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის, 2019 წლის სპორტული ღონისძიებების პროგრამის (05.01.02), წარმატებული ახალგაზრდა, ვეტერანი და ღვაწლმოსილი სპორტსმენებისა და მწვრთნელების ფულადი ჯილდოთი წახალისების ქვეპროგრამიდან.

2019 წლის 5-7 აპრილს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრის აღსაზრდელმა ბადრი სურმანიძემ, 5-7 აპრილს, ქ. რუსთავში გამართულ საქართველოს ჩემპიონატზე „თავისუფალ“ სტილით ჭიდაობაში, ახალგაზრდებს შორის (15 წლამდე), დაიკავა მესამე საპრიზო ადგილი . სპორტსმენი პროგრამის შესაბამისად წახალისდა - 200 (ორასი) ლარით. ასევე ფულადი ჯილდო გადაეცა მის პირად მწვრთნელს, კახა აფხაზავას - 100 (ასი) ლარი. თანხა გაიცა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის, 2019 წლის სპორტული ღონისძიებების პროგრამის (05.01.02), წარმატებული ახალგაზრდა, ვეტერანი და ღვაწლმოსილი სპორტსმენებისა და მწვრთნელების ფულადი ჯილდოთი წახალისების ქვეპროგრამიდან.

27-30 ივნისს სპორტული ცენტრის აღსაზრდელმა თამაზ ლლონტმა, პოლონეთის ქ. კრაკოვში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე „ბერძნულ/რომაულ“ სტილით ჭიდაობაში, ახალგაზრდებს შორის (15 წლამდე), დაიკავა მესამე საპრიზო ადგილი. სპორტსმენი პროგრამის შესაბამისად წახალისდა - 300 (სამასი) ლარით. ასევე ფულადი ჯილდო გადაეცა მის პირად მწვრთნელს, კახა აფხაზავას - 200 (ორასი) ლარი.

29 ივლისიდან 04 აგვისტოს ჩათვლით ბულგარეთის ქ. სოფიაში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე, სპორტული ცენტრის აღსაზრდელმა თამაზ ლლონტმა „ბერძნულ/რომაულ“ სტილით ჭიდაობაში, ახალგაზრდებს შორის (15 წლამდე), დაიკავა მესამე საპრიზო ადგილი. სპორტსმენი პროგრამის შესაბამისად წახალისდა - 400 (ოთხასი) ლარით. ასევე ფულადი ჯილდო გადაეცა მის პირად მწვრთნელს, კახა აფხაზავას - 300 (სამასი) ლარი. თანხა გაიცა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის, 2019 წლის სპორტული ღონისძიებების პროგრამის (05.01.02), წარმატებული ახალგაზრდა, ვეტერანი და ღვაწლმოსილი სპორტსმენებისა და მწვრთნელების ფულადი ჯილდოთი წახალისების ქვეპროგრამიდან.

2019 წლის 15-18 აგვისტოს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრის აღზრდილმა, გიორგი შოთაძემ, 15-18 აგვისტოს, ესტონეთის, ქ. ტალინში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე „ბერძნულ-რომაულ“ სტილით ჭიდაობაში, ახალგაზრდებს შორის (20 წლამდე), დაიკავა პირველი ადგილი და მოიპოვა ჩემპიონობა. ააორტსაააა წახალისდა - 800 (რვაასი) ლარით. ასევე წახალისდა მისი პირადი მწვრთნელი ზაზა ლლონტი - 600 (ექვსასი) ლარით. თანხა გაიცა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის, 2019 წლის სპორტული ღონისძიებების პროგრამის (05.01.02), წარმატებული ახალგაზრდა, ვეტერანი

და ღვაწლმოსილი სპორტსმენებისა და მწვრთნელების ფულადი ჯილდოთი წახალისების ქვეპროგრამიდან.

სასკოლო სპორტული ოლიმპიადისა და სპორტი ბარიერების გარეშე, ქვეპროგრამის ფარგლებში :

19 თებერვალს, სამსახურის ინიციატივით მომზადდა მოთხოვნა სპორტული ეკიპირების (ფორმა) დამზადებაზე. დამზადდა 82 ცალი ფორმა, სხვადასხვა სპორტულ სახეობებში გამარჯვებულ 82 ბავშვზე, რომლებიც რეგიონალური და საქართველოს მასშტაბით ორგანიზებულ ჩემპიონატებზე, რაიონის სახელით მიიღებენ მონაწილეობას. ფორმების საერთო ღირებულებამ შეადგინა 2000 (ორი ათასი) ლარი.

2019 წელს სამსახურის მიერ „სასკოლო სპორტული ოლიმპიადის“ ფარგლებში განხორციელდა ორი ღონისძიება:

12-13 თებერვალს, ჩატარდა ღონისძიება ფრენბურთში. გოგონებს და ვაჟებს შორის. მონაწილეობდა რაიონის ყველა საჯარო და საბაზო სკოლა. გამარჯვებულ სკოლის მოსწავლეებს გადაეცათ თასები, სიგელები და მედლები.

6 მარტს, „სასკოლო სპორტული ოლიმპიადის“ ფარგლებში, ჩატარდა შეჯიბრი გეზბუნში - გოგონებს და ვაჟებს შორის. მონაწილეობდა რაიონის ყველა საჯარო და საბაზო სკოლა. გამარჯვებულ სკოლის მოსწავლეებს გადაეცათ თასები, სიგელები და მედლები.

7 მარტს, „სასკოლო სპორტული ოლიმპიადის“ ფარგლებში, ჩატარდა შეჯიბრი ხელბურთში, გოგონებსა და ვაჟებს შორის. მონაწილეობდა რაიონის ყველა საჯარო და საბაზო სკოლა. გამარჯვებულ სკოლის მოსწავლეებს გადაეცათ თასები, სიგელები და მედლები.

4 აპრილს, „სასკოლო სპორტული ოლიმპიადის“ ფარგლებში, ჩატარდა რეგიონალური ღონისძიება, მაგიდის ჩოგბურთში, გოგონებსა და ვაჟებს შორის. ღონისძიებაში მონაწილეობდა ლანჩხუთის, ოზურგეთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტების საჯარო სკოლის გოგონები და ვაჟები. გამარჯვებული სკოლის მოსწავლეები დაჯილდოვდნენ თასებითა და მედლებით.

2 მაისს, ლანჩხუთში სტარტი აიღო ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებულმა ღონისძიებამ, „სპორტი ბარიერების გარეშე“, რომელშიც მონაწილეობდა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ყველა საჯარო და საბაზო სკოლა. შეჯიბრი გაიმართა სპრინტში და გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ თასებით, სიგელებით და მედლებით.

14 მაისს, ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული პროექტის, „სპორტი ბარიერების გარეშე“, ფარგლებში შეჯიბრებები ჩატარდა ფრენბურთში, გოგონებსა და ვაჟებს შორის. მასში მონაწილეობდნენ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საჯარო და საბაზო სკოლის მოსწავლეები. გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ თასებით, სიგელებით და მედლებით.

15 მაისს, ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული პროექტის, „სპორტი ბარიერების გარეშე“, ფარგლებში შეჯიბრება ჩატარდა ფეხბურთში, გოგონებს შორის. მასში მონაწილეობდნენ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საჯარო და

საბაზო სკოლის მოსწავლეები. გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ თასებით, სიგელებით და მედლებით.

20 მაისს, ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული პროექტი „სპორტი ბარიერების გარეშე“, ვაჟებს შორის ფეხბურთით დასრულდა. გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ თასებით, სიგელებით და მედლებით.

23 მაისს, ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული პროექტი „სპორტი ბარიერების გარეშე“ ამჯერად უკვე რეგიონის მასშტაბით ლანჩხუთში ჩატარდა და შეჯიბრებებს სპორტულ სახეობებში ჩვენმა მუნიციპალიტეტმა უმასპინძლა. გურიის სამივე მუნიციპალიტეტის მოსწავლეები ერთმანეთს ფეხბურთში, სპრინტში, მაგიდის ჩოგბურთში, ჭადრაკში, კალათბურთსა და ფრენბურთში გაეჯიბრნენ. რეგიონალური მასშტაბით გამარჯვებულმა 40 -მა მოსწავლემ დაისვენა კახეთში - „მანავის“ საზაფხულო ბანაკში.

26 მაისს, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ჩატარდა დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი სპორტური ტურნირები მაგიდის ჩოგბურთში, ჭადრაკში და ნარდში, გამარჯვებულებს გადაეცა მედლები, სიგელები და თასები.

19 აგვისტოს, ღრმადელის ადმინისტრაციულ ერთეულში ჩატარდა, აფხაზეთის ომში დაღუპული გმირების საპატივცემულოდ მიძღვნილი სპორტული ღონისძიებები დოღში (სხვადასხვა დისტანციაზე), ჭიდაობაში, მკლავჭიდში, გირების აზიდვაში და მინიფეხბურთში. გამარჯვებულ მონაწილეებს გადაეცათ თასები, მედლები და სიგელები.

23-30 სექტემბრის ჩათვლით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ჩატარდა „ევროპის სპორტის კვირეული“ სპორტის სხვადასხვა სახეობებში. სპორტულ აქტივობებში გამარჯვებულებს გადაეცა მედლები, სიგელები და თასები.

22 ოქტომბერს, ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული პროექტის, „სპორტი ბარიერების გარეშე - 2019-2020“, ფარგლებში შეჯიბრება ჩატარდა გეზრბენში, გოგონებსა და ვაჟებს შორის. მასში მონაწილეობდნენ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საჯარო და საბაზო სკოლის მოსწავლეები. გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ თასებით, სიგელებით და მედლებით.

07-08 ნოემბერს, ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული პროექტის, „სპორტი ბარიერების გარეშე - 2019-2020“, ფარგლებში შეჯიბრება ჩატარდა კალათბურთში, გოგონებსა და ვაჟებს შორის. მასში მონაწილეობდნენ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საჯარო და საბაზო სკოლის მოსწავლეები. გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ თასებით, სიგელებით და მედლებით.

13 ნოემბერს, ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული პროექტის, „სპორტი ბარიერების გარეშე - 2019-2020“, ფარგლებში შეჯიბრება ჩატარდა მაგიდის ჩოგბურთში, გოგონებსა და ვაჟებს შორის. მასში მონაწილეობდნენ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საჯარო და საბაზო სკოლის მოსწავლეები. გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ თასებით, სიგელებით და მედლებით.

22-27 ნოემბერს, ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული პროექტის, „სპორტი ბარიერების გარეშე - 2019-2020“, ფარგლებში შეჯიბრება ჩატარდა ბადმინტონში, გოგონებსა და ვაჟებს შორის. მასში მონაწილეობდნენ

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საჯარო და საბაზო სკოლის მოსწავლეები. გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ თასებით, სიგელებით და მედლებით.

სამსახურის მიერ, მიმდინარე წელს განხორციელდა ახალგაზრდული პროექტების თანადაფინანსება:

20 მარტს დაფინანსებული იქნა ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ლანჩხუთის წმ. იოანე ნათლისმცემლის სახელობის სასულიერო გიმნაზიის მიერ წარმოდგენილი პროექტი, „შექმენი უკეთესი გარემო სკოლაში.“ პროექტის თანადაფინანსებამ შეადგინა - 399 (სამას ოთხმოცდაცხრამეტი) ლარი.

29 მარტს დაფინანსდა ჩიბათის საჯარო სკოლის პროექტი „ილიას ნაკვალევზე“, „მარად და ყველგან საქართველო მე ვარ შენთანა“ - 700 (შვიდასი) ლარით.

5 აპრილს, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ჩიბათის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა, განახორციელეს სასწავლო-საგანმანათლებლო პროექტი: „იკითხე ქართული“. აღნიშნული პროექტის განხორციელების მიზნით სკოლამ მიიღო თანადაფინანსება - 1000 (ათასი) ლარის ოდენობით.

20 მაისს, ახალგაზრდული პროექტების თანადაფინანსების ქვეპროგრამიდან მოხდა NN2 საჯარო სკოლის პროექტის „ვირჩევთ პროფესიას“ დაფინანსება - 700 (შვიდასი) ლარის ოდენობით.

19 მაისს, სამსახურის მიერ დაფინანსდა N2 საჯარო სკოლის პროექტი „იავნანამ რა ჰქმნა?“ - 500 ლარის ოდენობით.

20 მაისს, დაფინანსდა წყალწმინდის საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი პროექტი „გავიცნოთ საქართველო“ - 400 (ოთხასი) ლარის ოდენობით.

29 მაისს, განხორციელდა ა(ა)იპ „დამოუკიდებელ ბავშვთა და სტუდენტთა გაერთიანების“- საპროექტო განაცხადის - „გაციანი ევროპა და განავითარე შენი ქალაქი“ - ს თანადაფინანსება - 900 (ცხრასი) ლარის ოდენობით.

2019 წელს, სამსახურის მიერ „ახალგაზრდული სპორტული ტურნირების მხარდაჭერის“ ქვეპროგრამიდან განხორციელდა ლანჩხუთის ადმინისტრაციულ ერთეულებში მცხოვრები მოსახლეობის, მასობრივ სპორტში ჩართვისა და „ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების მიზნით სპორტული ინვენტარის გადაცემა. კერძოდ:

17 ივნისის, სოფელ მაჩხვარეთის ადმინისტრაციას, ფრენბურთის სტადიონის მოსაწყობად, გადაეცა 1 (ერთი) ცალი ფრენბურთის ბადე და 1 (ცალი) ფრენბურთის ბურთი; ასევე მინი-საფეხბურთო ტურნირის გასამართად გადაეცა 2 ცალი ფეხბურთის ბურთი და 1 ცალი ფეხბურთის ბადე.

27 ივნისის, სოფელ მამათის ადმინისტრაციას, ფეხბურთისა და ფრენბურთის სტადიონების მოსაწყობად და სპორტული ღონისძიებების გასამართად გადაეცა შემდეგი სპორტული ინვენტარი: ფეხბურთის ბურთი 2 (ორი) ცალი, ფრენბურთის ბურთი 2 (ორი) ცალი და 1 ცალი ფრენბურთის ბადე.

27 ივნისის, სოფელ ნიგვზიანში, ფეხბურთის და ფრენბურთის სტადიონების მოსაწყობად და სპორტული ღონისძიებების გასამართად გადაეცემული იქნა შემდეგი

სპორტული ინვენტარი: ფეხბურთის ბურთი 4 (ოთხი) ცალი, ფრენბურთის ბურთი 2 (ორი) ცალი, ფეხბურთის კარის ბადე 2 ცალი და ფრენბურთის ბადე 1 (ერთი) ცალი.

28 ივნისის, სოფელ ნიგოთში, ფეხბურთის და ფრენბურთის სტადიონების მოსაწყობად და სპორტული ღონისძიების გასამართად გადაეცემული იქნა შემდეგი სპორტული სახის ინვენტარი: 2 (ორი) ფეხბურთის ბურთი; 1 (აააალი), კარის ბადე; 1 (ერთი) ცალი. ფრენბურთის ბადე და 1 ცალი ფრენბურთის ბურთი.

სოფელ წყალწმინდას, გადაეცა 3 ცალი ფეხბურთის ბურთი და 1 წყვილი ფეხბურთის კარის ბადე, აგვისტოს თვეში დაგეგმილი მინი-საფეხბურთო ტურნირისათვის.

სოფელ ჩოჩხათს, ფეხბურთის და ფრენბურთის სტადიონების მოსაწყობად და სპორტული ღონისძიების გასამართად გადაეცა 4 ცალი ფეხბურთის ბურთი და 2 წყვილი ფეხბურთის კარის ბადე, 2 ცალი ფრენბურთის ბადე, 2 ცალი ფრენბურთის ბურთი, 4 ცალი სპორტული თასი.

სოფელ შუხუთს, ფეხბურთის, კალათბურთის და ფრენბურთის სტადიონების მოსაწყობად და სპორტული ღონისძიების გასამართად გადაეცა 2 ცალი ფეხბურთის ბურთი და 2 წყვილი ფეხბურთის კარის ბადე, 1 ცალი ფრენბურთის ბადე, 2 ცალი ფრენბურთის ბურთი, კალათბურთის ბურთი 1 ცალი და 1 წყვილი კალათბურთის ბადე.

სოფელ გვიმბალაურს, ფეხბურთის, კალათბურთის და ფრენბურთის სტადიონების მოსაწყობად და სპორტული ღონისძიების გასამართად გადაეცა 3 ცალი ფეხბურთის ბურთი და 1 წყვილი ფეხბურთის კარის ბადე, 1 ცალი ფრენბურთის ბადე, 2 ცალი ფრენბურთის ბურთი, კალათბურთის ბურთი 2 ცალი და 1 წყვილი კალათბურთის ბადე.

სოფელ სუფსას, ფეხბურთის სტადიონის მოსაწყობად და სპორტული ღონისძიების გასამართად გადაეცა 2 ცალი ფეხბურთის ბურთი და 1 წყვილი ფეხბურთის კარის ბადე.

სოფელ ლესას, ფეხბურთის და ფრენბურთის სტადიონების მოსაწყობად და სპორტული ღონისძიების გასამართად გადაეცა 2 ცალი ფეხბურთის ბურთი და 1 წყვილი ფეხბურთის კარის ბადე, 1 ცალი ფრენბურთის ბადე, 2 ცალი ფრენბურთის ბურთი, 1 ცალი სპორტული თასი, 20 ცალი სამახსოვრო მედალი და 20 ცალი სამახსოვრო სიგელი.

ქალაქ ლანჩხუთის ადმინსტრაციულ ერთეულს, ფეხბურთის სტადიონის მოსაწყობად და სპორტული ღონისძიების გასამართად გადაეცა 4 ცალი ფეხბურთის ბურთი და 2 წყვილი ფეხბურთის კარის ბადე, 2 ცალი სპორტული თასი.

სოფელ აცანას, ფეხბურთის სტადიონის მოსაწყობად და სპორტული ღონისძიების გასამართად გადაეცა 2 ცალი ფეხბურთის ბურთი და 1 წყვილი ფეხბურთის კარის ბადე.

სოფელ ჯურუყვეთს, ფეხბურთის სტადიონის მოსაწყობად და სპორტული ღონისძიების გასამართად გადაეცა 2 ცალი ფეხბურთის ბურთი და 1 წყვილი ფეხბურთის კარის ბადე, 3 ცალი სპორტული თასი.

სოფელ აკეთს, ფრენბურთის სტადიონის მოსაწყობად და მარულას ღონისძიების გასამართად გადაეცა 3 ცალი ფრენბურთის ბურთი და 1 ცალი ფრენბურთის ბადე. 4 ცალი სპორტული თასი.

სამსახურის მიერ, „ტრანსპორტით დახმარების“ ქვეპროგრამიდან მხარდაჭერილი იქნა - ჩვენი ახალგაზრდების, მოსწავლეებისა და მოქალაქეების სხვადასხვა სპორტულ და ახალგაზრდულ ღონისძიებებზე ტრანსპორტირება:

13 მარტს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტში გაიმართა „სასკოლო სპორტული ოლიმპიადის“ მეორე ეტაპი, (რეგიონალური გათამაშება კალათბურთში) სადაც მონაწილეობას ღებულობდა ლანჩხუთის წმ. იოანე ნათლისმცემლის სახელობის სასულიერო გიმნაზიის მოსწავლე-სპორტსმენები. აღნიშნულ გათამაშებაში მონაწილეობის მისაღებად, ტრანსპორტირების მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მოხდა დაფინანსება ერთი მიკროავტობუსით. თანხა - 123,75 ლარი.

28 მარტს, ქ.თბილისში ჩიბათის საჯარო სკოლის ახალგაზრდები შეხვდნენ საქართველოს პარლამენტის წევრებს. განხორციელდა მათი ტრანსპორტირება 2 მიკროავტობუსით სულ თანხამ შეადგინა - 966 ლარი.

19 მაისს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის აცანის ადმინისტრაციულის ერთეულის საჯარო სკოლის მაგიდის ჩოგბურთის გოგონათა და ვაჟთა გუნდების ტრანსპორტირება მოხდა ქ. ქუთაისში და ტრანსპორტირების თანხამ შეადგინა - 153,75 ლარი.

22 მაისს, სსიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ სუფსის საჯარო სკოლის მოსწავლე ვაჟები, ზონალურ გათამაშებაზე, ხელბურთში, გაემგზავრნენ ქალაქ წყალტუბოში. მოხდა მათი ტრანსპორტირებით უზრუნველყოფა თანხამ შეადგინა - 221,25 ლარი.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის, შშმ ახალგაზრდების საზოგადოებაში ინტეგრაციის მიზნით განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

2019 წლის 21 მარტს, დაუნის სინდრომის მქონე პირთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, შშმ პირთა ა(ა) იპ „პროგრესის ვექტორი“-მ გამართა ღონისძიება- „მზის სხივები“, რომელსაც გაეწია თანადაფინანსება - 1150 (ათას ას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით. თანხა გაიცა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ახალგაზრდული ღონისძიებების მხარდაჭერის პროგრამის, (კოდი 0503), შშმ ახალგაზრდების საზოგადოებაში ინტეგრაციის მხარდაჭერის ქვეპროგრამიდან.

02 აპრილს, აუტიზმის სინდრომის მქონე პირთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, შშმ პირთა ა(ა)იპ „პროგრესის ვექტორი“-მა გამართა ღონისძიება, რომელსაც გაეწია თანადაფინანსება - 600 (ექვსასი) ლარის ოდენობით. თანხა გაიცა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ახალგაზრდული ღონისძიებების მხარდაჭერის პროგრამის, (კოდი 0503), შშმ ახალგაზრდების საზოგადოებაში ინტეგრაციის მხარდაჭერის ქვეპროგრამიდან.

14 ივნისს შშმ პირთა უფლებების დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, ასოციაცია „საბა“ -ს ინიციატივით, შშმ ბავშვების მონაწილეობითა და საჯარო სკოლების ჩართულობით ჩატარდა ღონისძიება „ჩვენ და უფლებები“. პროექტი დაფინანსდა - 750 (შვიდას ორმოცდაათი) ლარის ფარგლებში. თანხა გაიცა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ახალგაზრდული ღონისძიებების მხარდაჭერის პროგრამის, (კოდი 0503), შშმ ახალგაზრდების საზოგადოებაში ინტეგრაციის მხარდაჭერის ქვეპროგრამიდან.

03 დეკემბერს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, ა(ა)იპ-იმ „პროგრესის ვექტორი“ გამართა ღონისძიება, რომელსაც გაეწია თანადაფინანსება - 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით. თანხა გაიცა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ახალგაზრდული ღონისძიებების მხარდაჭერის პროგრამის, (კოდი 0503), შშმ ახალგაზრდების საზოგადოებაში ინტეგრაციის მხარდაჭერის ქვეპროგრამიდან.

სამსახურის მიერ, 2019 წლის 1 იანვრიდან, 31 დეკემბრის ჩათვლით, ერთი წლის განმავლობაში, შესრულებული იქნა, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით განსაზღვრული ყველა ვალდებულება და დაგეგმილი ღონისძიებები, გარდა სახალხო დღესასწაულ - „ლანჩხუთობისა“.

სამსახურისათვის, პროგრამების განსახორციელებლად, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული თანხა იყო - 50 000 (ორმოცდაათი ათასი) ლარი. საბიუჯეტო წლის განმავლობაში დაემატა - 7950 ლარი დახარჯულია - 57 950 ლარი დარჩენილია - 0 (ნული) ლარი.

მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** აღნიშნა, რომ მიუხედავად მცირე ბიუჯეტისა, მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური წარმატებით და მაქსიმალური პასუხისმგებლობით ასრულებს დაკისრებულ სამუშაოებს. მან მადლობა გადაუხადა აღნიშნული სამსახურის უფროსს და თანამშრომლებს აქტივობისა და გაწეული საქმიანობისთვის.

ბიუროს წევრები დაეთანხმნენ მუნიციპალიტეტის მერს და მადლობა გადაუხადეს მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსს და მის თითოეულ თანამშრომელს სამსახურეობრივი მოვალეობის კეთილსინდისიერად შესრულებისათვის და უსურვეს წარმატებები.

მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა **ია ჩხაიძემ** თავის მხრივ მადლობა გადაუხადა მუნიციპალიტეტის მერს, საკრებულოს თავმჯდომარესა და საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარეს. მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსის თქმით, ისინი ყოველთვის გვერდით უდგანან და ერთად აკეთებენ კარგ საქმეს.

საკრებულოს თავმჯდომარემ **ბესიკ ტაბიძემ** აღნიშნა, რომ თანხა არის, მაგრამ პანდემიის გამო სპორტული ინვენტარის შესყიდვები შეჩერებულია და მუნიციპალიტეტის მერის თქმით, უახლოეს დღეებში გაირკვევა სიტუაცია. საკრებულოს თავმჯდომარემ ყურადღება გაამახვილა იმასთან დაკავშირებით, რომ ხელშეკრულებაში აუცილებლად უნდა ჩაიწეროს მოთხოვნა ხარისხზე.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება ცნობად იქნას მიღებული ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის მიერ 2019 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში.

დღის წესრიგის მერვე საკითხი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის მიერ 2019 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში სხდომას გააცნო მერიის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის უფროსმა **დავით პატარაიამ**. მან აღნიშნა, რომ სამხედრო სამსახურის მიერ 2019 წლის იანვარ–აპრილის თვეში პირველად სამხედრო აღრიცხვაზე აყვანილია 2002 წელს დაბადებული 177(ას სამოცდაჩვიდმეტი) მოქალაქე.

გამწვევი კომისია გაიარა 486 (ოთხასოთხმოცდაექვსი) წვევამდელმა, აქედან საქართველოს შეიარაღებულ ძალებში ჩაირიცხულია 60 (სამოცი) წვევამდელი, დაცვის სამსახურში წავიდა 11 (თერთმეტი) წვევამდელი, თავდაცვის სამინისტროს საკონტრაქტო სამსახურში წავიდა 5 (ხუთი) წვევამდელი. უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტის სტატუსი მიენიჭა 123 (ასოცდასამი) წვევამდელს, სკოლის მოსწავლე 12(თორმეტი), ოჯახური მდგომარეობის 2(ერთი) ცოლშვილიანი 24(ოცდაოთხი), დედისერთა 28(ოცდარვა), საქართველოს ქრისტიანული, ევანგელური, პროტესტანტული ეკლესიის ბიბლიური თავისუფლების მღვდელთმსახური არის 44 (ორმოცდაოთხი) წვევამდელი. სამხედრო-სამედიცინო საექსპერტო კომისიის მიერ მიღებული იქნა შემდეგი გადაწყვეტილება: შეზღუდულად ვარგისად ცნობილია 34 (ოცდათოთხმეტი) წვევამდელი, დროებით უვარგისია 25 (ოცდახუთი) წვევამდელი, უვარგისია სამხედრო სამსახურისათვის 26 (ოცდაექვსი) წვევამდელი.

სხვადასხვა სამხედრო სამსახურებში გადაიგზავნა 22 (ოცდაორი) პირადი საქმე, ასევე შემოვიდა სხვა სამხედრო სამსახურებიდან 21(ოცდაერთი) პირადი საქმე.

ზღვრული ასაკით რეზერვში ჩაირიცხა 193 (ასოთხმოცდაცამეტი) წვევამდელი. საზღვარგარეთ იმყოფება 91(ოთხმოცდატერთმეტი) წვევამდელი, შეცვლილი აქვთ საცხოვრებელი ადგილი 94 (ორმოცდათოთხმეტი) წვევამდელს.

სარეზერვო სამსახურში აღრიცხვაზე დადგა 275 (ორას სამოცდათხუთმეტი) რეზერვისტი, აქედან სავალდებულო სამსახურიდან დაბრუნდა 83 (ოთხმოცდასამი) რეზერვისტი, საკონტრაქტო სამსახურში წასულია 23 (ოცდასამი), აღრიცხვიდან მოიხსნა 43 (ორმოცდასამი) რეზერვისტი, შს–ში გადავიდა 5(ხუთი), სხვა სამხედრო სამსახურებში გადავიდა 30(ოცდაათი) რეზერვისტი, ოფიცერი 2 (ორი), გარდაიცვალა 8 (რვა) რეზერვისტი, სარეზერვო შეკრებაზე გავიწვიეთ 2 (ორი) რეზერვისტი.

ბიუროს წევრებმა მადლობა გადაუხადეს მერიის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის უფროსს და მის თითოეულ თანამშრომელს მათზე დაკისრებული სამსახურეობრივი მოვალეობის კეთილსინდისიერად და პასუხისმგებლობით შესრულებისათვის.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება ცნობად იქნას მიღებული ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის მიერ 2019 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში.

დღის წესრიგის მეცხრე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის N38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს განკარგულების პროექტი მერიის იურიდიული სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა **გულინა კუნჭულიამ**, მან აღნიშნა, რომ მომზადებულია საქართველოს კანონის „ბავშვის უფლებათა კოდექსი“ შესაბამისად. „სოციალური და ჯანდაცვის სამსახურს“ ემატება „ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება“, რომლის შემადგენლობა განისაზღვრება მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელით-განყოფილების უფროსი და მესამე რანგის პირველი კატეგორიის 4 ერთეული უფროსი სპეციალისტით.

პროექტის მიღება გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას და მისი დაფინანსება შესაძლებელია სახელფასო ფონდის ფარგლებში.

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1) „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა სამტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის N38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 ივლისის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

2) მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ეკა გუჯაბიძე.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 7 წევრი.

მომხრე ბიუროს 7 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეათე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი მერიის იურიდიული სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა **გულინა კუნჭულიამ**. მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის დებულება ჩამოყალიბდა შემდეგი სახით:

თავი I

ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური

1. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური (შემდგომში – სამსახური) წარმოადგენს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის

პირველად სტრუქტურულ ერთეულს, რომლის უფლებამოსილებები, ვალდებულებები, სტრუქტურა და მართვის ორგანიზება განისაზღვრება ამ დებულებით.

2. სამსახურს აქვს ბლანკი და ბეჭედი სამსახურის სრული სახელწოდების აღნიშვნით.

3. სამსახური თავის საქმიანობას წარმართავს მოქმედი კანონმდებლობის, მერიის დებულების, ამ დებულებისა და მუნიციპალიტეტის სხვა სამართლებრივი აქტების შესაბამისად.

4. სამსახურის მისამართია ქ. ლანჩხუთი, კოსტავას ქ.№37.

თავი II

სამსახურის შემადგენლობა

მუხლი 2. სამსახურის შემადგენლობა

სამსახურის შემადგენლობაში შედის:

- ა) სამსახურის უფროსი - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი;
- ბ) ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების უფროსი-მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი;
- გ) სამსახურის საჯარო მოსამსახურეები- პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტები.

თავი III

სამსახურის ძირითადი ამოცანები და ფუნქციები

მუხლი 3. სამსახურის ფუნქციები

სამსახურის ფუნქციებია:

- ა) ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მუნიციპალური პროგრამების შემუშავება და კოორდინაცია; ბ) საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროში მუნიციპალიტეტისათვის დელეგირებული უფლებამოსილებების განხორციელება;
- გ) დასაქმების მუნიციპალურ პროგრამათა განხორციელების კოორდინაცია;
- დ) სოციალური დაცვის მუნიციპალურ დაწესებულებათა ზედამხედველობა;
- ე) თვითმმართველი ერთეულის მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, სოციალური ინფრასტრუქტურის ობიექტების რეაბილიტაციისა და განვითარების პროგრამების შემუშავება და მათი განხორციელების კოორდინაცია;
- ვ) მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის, მასზე სოციალური გავლენის პირობების შესწავლა და შესაბამის ღონისძიებათა დაგეგმვა;
- ზ) სამზრუნველო ქსელის განვითარება, თავშესაფრების მოწყობის ორგანიზება და მოსახლეობის სოციალური ადაპტაციისათვის საჭირო ღონისძიებების გატარება;
- თ) მოსახლეობის შრომითი მოწყობის და უმუშევართა დახმარების მუნიციპალურ პროგრამათა პროექტების მომზადება და დამტკიცებულ პროგრამათა განხორციელება;

- ი) ღონისძიებათა დაგეგმვა დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნის შესახებ;
- კ) იმ პირთა აღრიცხვა, რომელთა დახმარებაც ხდება ადგილობრივი ბიუჯეტიდან;
- ლ) შრომის ბაზრის ანალიზი და შესაბამის წინადადებათა მომზადება;
- მ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევენილთა შესახებ ინფორმაციის მოძიება და აღრიცხვა;
- ნ) ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანებისა და მათთან გათანაბრებული პირების აღრიცხვა და მათთან მუშაობის ორგანიზება;
- ო) საქართველოს კანონით „ბავშვის უფლებათა კოდექსი“ გათვალისწინებული ბავშვის უფლებების დაცვის ღონისძიებების განხორციელება, საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში;
- პ) საქართველოს კანონით „ბავშვის უფლებათა კოდექსი“ გათვალისწინებული ბავშვის მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამების განხორციელება, განხორციელების პროცესის მონიტორინგი და შეფასება დელეგირებული უფლებამოსილებების ფარგლებში;
- ჟ) ბავშვის მხარდაჭერის მუნიციპალური პროგრამების მომზადება, მათი განხორციელება, განხორციელების პროცესის მონიტორინგი და შეფასება;
- რ) „სოციალური მუშაობის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბავშვთა დაცვის და მხარდაჭერის სოციალური მუშაკის ქსელის შექმნა და სამოქმედო უბნების განსაზღვრა;
- ს) ბავშვის დაცვისა და მხარდაჭერის მუნიციპალური და სახელმწიფო პროგრამების განხორციელების მიზნით კოორდინირებული მუშაობა შესაბამის სახელმწიფო დაწესებულებებთან, კერძო სამართლის იურიდიულ პირებთან, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან,
- ტ) არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ განსახორციელებელი ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამების განხორციელების კოორდინაცია;
- უ) საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამოვლენა, შესაბამისი ოქმების შედგენა, სახდელის შეფარდება ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვაზე უფლებამოსილი ორგანოსათვის გადაგზავნა.
- ფ) ბავშვის უფლებების დაცვის პროგრამების განხორციელების მიზნით შესაბამისი კერძო სამართლის იურიდიული პირების შერჩევის, მათი რეგისტრაციის და სახელმშეკრულებო პირობების განსაზღვრის პროცესის უზრუნველყოფა;
- ქ) ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის დამტკიცებული პროგრამების შესაბამისად სტატისტიკური ინფორმაციის წარმოება; ბავშვთა დაცვისა და მხარდაჭერის მონაცემთა ერთიანი ბაზის შექმნა და წარმოება;
- ღ) მოქმედი კანონმდებლობითა და მუნიციპალიტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული სხვა ფუნქციების განხორციელება.

მუხლი 4. ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება

1. ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება (შემდგომში - განყოფილება) არის მუნიციპალიტეტის კომპეტენციას მიკუთვნებული ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სისტემის მართვის მიზნით შექმნილი, მეორადი სტრუქტურული ერთეული.

2. განყოფილების საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლებია: საქართველოს კანონი „ბავშვის უფლებათა კოდექსი“, „სოციალური მუშაობის შესახებ“ საქართველოს კანონი, საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის დებულება, ეს დებულება და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები.

3. განყოფილების ფუნქციებს ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის მომსახურების სფეროში წარმოადგენს:

ა) საქართველოს კანონით „ბავშვის უფლებათა კოდექსი“ გათვალისწინებული ბავშვის უფლებების დაცვის ღონისძიებების განხორციელება, საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში;

ბ) საქართველოს კანონით „ბავშვის უფლებათა კოდექსი“ გათვალისწინებული ბავშვის მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამების განხორციელება, განხორციელების პროცესის მონიტორინგი და შეფასება დელეგირებული უფლებამოსილებების ფარგლებში;

გ) ბავშვის მხარდაჭერის მუნიციპალური პროგრამების მომზადება, მათი განხორციელება, განხორციელების პროცესის მონიტორინგი და შეფასება;

დ) „სოციალური მუშაობის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბავშვთა დაცვის და მხარდაჭერის სოციალური მუშაკის ქსელის შექმნა და სამოქმედო უბნების განსაზღვრა;

ე) ბავშვის დაცვისა და მხარდაჭერის მუნიციპალური და სახელმწიფო პროგრამების განხორციელების მიზნით კოორდინირებული მუშაობა შესაბამის სახელმწიფო დაწესებულებებთან, კერძო სამართლის იურიდიულ პირებთან, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან,

ვ) არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ განსახორციელებელი ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამების განხორციელების კოორდინაცია;

ზ) ბავშვის უფლებების დაცვის პროგრამების განხორციელების მიზნით შესაბამისი კერძო სამართლის იურიდიული პირების შერჩევის, მათი რეგისტრაციის და სახელშეკრულებო პირობების განსაზღვრის პროცესის უზრუნველყოფა;

თ) ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის დამტკიცებული პროგრამების შესაბამისად სტატისტიკური ინფორმაციის წარმოება; ბავშვთა დაცვისა და მხარდაჭერის მონაცემთა ერთიანი ბაზის შექმნა და წარმოება;

კ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებები.

4. განყოფილება თავისი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს:

ა) ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის მუნიციპალური სერვისების ხელმისაწვდომობას;

ბ) საკუთარი საქმიანობის გამჭვირვალობას; გ) მასობრივი საინფორმაციო საშუალებებით განყოფილების ფუნქციების, ამოცანებისა და საქმიანობის მნიშვნელობის განმარტებას;

5. ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სისტემა ეფუძნება საფრთხის პრევენციისა და ადრეული დახმარების პრინციპს.

6. განყოფილებას ხელმძღვანელობს განყოფილების უფროსი-მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მუნიციპალიტეტის მერი.

7. ბავშვისა და ოჯახისა სოციალური მუშაკი არის განყოფილების საჯარო მოსამსახურე, რომელიც:

ა) ახორციელებს ბავშვის მდგომარეობის შეფასებას ბავშვისა და ოჯახის საჭიროებათა და ზიანის რისკის შეფასების სამართლებრივი ინსტრუმენტების გამოყენებით.

ბ) შეიმუშავებს სამოქმედო გეგმას ინტერდისციპლინური განხილვის საფუძველზე;

გ) უზრუნველყოფს ინდივიდუალური მხარდაჭერის გეგმით დადგენილი მომსახურებისადმი ბავშვის ხელმისაწვდომობას;

დ) კოორდინაციას უწევს სამოქმედო გეგმის აღსრულების პროცესს ბავშვის უფლებების დაცვის და მხარდაჭერის ღონისძიებების განხორციელებაზე უფლებამოსილ სუბიექტებთან თანამშრომლობით;

ე) საქმის წარმოების ერთიანი სისტემის გამოყენებით მონიტორინგს უწევს ბავშვის დაცვისა და მხარდაჭერის ღონისძიებების განხორციელების პროცესს და ადგენს ანგარიშს;

ვ) საგანმანათლებლო-აღმზრდელობით, კულტურისა და სასპორტო დაწესებულებებთან, საზოგადოებრივ გაერთიანებებთან და სხვა ბავშვის თემებზე მომუშავე დაწესებულებებთან და დაინტერესებულ პირებთან თანამშრომლობით შეიმუშავებს რეკომენდაციებს ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სფეროში განსახორციელებელი პრევენციული ღონისძიებების თაობაზე;

ზ) ახორციელებს მისთვის დაკისრებულ სხვა უფლებამოსილებებს.

8. ბავშვის ფსიქოლოგი არის განყოფილების საჯარო მოსამსახურე, რომელიც:

ა) მონაწილეობს ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის ღონისძიებების განსაზღვრის მიზნით მიმდინარე ადმინისტრაციულ წარმოების ფარგლებში ინტერდისციპლინური განხილვის პროცესში;

ბ) ადგენს ბავშვის მენტალურ ჯანმრთელობას, სწავლობს მის ქცევას და შეიმუშავებს რეკომენდაციებს განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ;

გ) საფრთხის პრევენციისა და ადრეული დახმარების პრინციპის გათვალისწინებით და მეუღლეების თანხმობით ახორციელებს ახალშექმნილი ოჯახის მხარდაჭერას შესაბამისი საკონსულტაციო მომსახურების ფარგლებში. აღნიშნული სერვისის განხორციელების მიზნით ბავშვის ფსიქოლოგი ბავშვისა და ოჯახის სოციალურ მუშაკთან ერთად, გარკვეული პერიოდულობით ახდენს ბენეფიციარის ოჯახში ვიზიტს;

დ) ახორციელებს მისთვის დაკისრებულ სხვა უფლებამოსილებებს.

9. ჯანმრთელობის მართვის სპეციალისტი არის განყოფილების საჯარო მოსამსახურე, რომელიც:

ა) მონაწილეობს ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის ღონისძიებების განსაზღვრის მიზნით მიმდინარე ადმინისტრაციულ წარმოების ფარგლებში ინტერდისციპლინური განხილვის პროცესში;

ბ) ადგენს ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობას და შეიმუშავებს რეკომენდაციებს განსახორციელებელი ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებების შესახებ;

გ) საფრთხის პრევენციისა და ადრეული დახმარების პრინციპის გათვალისწინებით და ოჯახის თანხმობით ახორციელებს ოჯახის მხარდაჭერას შესაბამისი საკონსულტაციო მომსახურების ფარგლებში, ქალის ორსულობის პერიოდში და მშობიარობიდან 1 წლის განმავლობაში. აღნიშნული სერვისის განხორციელების მიზნით ჯანმრთელობის მართვის სპეციალისტი ბავშვისა და ოჯახის სოციალურ მუშაკთან ერთად, გარკვეული პერიოდულობით ახდენს ბენეფიციარის ოჯახში ვიზიტს;

დ) ახორციელებს მისთვის დაკისრებულ სხვა უფლებამოსილებებს.

10. განყოფილების სამართლებრივ დახმარებას უზრუნველყოფს მერიის იურიდიული სამსახურის საჯარო მოსამსახურე-პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი

11. განყოფილების საქმიანობა განისაზღვრება ინსტრუქციით, რომელსაც ამტკიცებს მუნიციპალიტეტის მერი ინდივიდუალური სამართლებრივი აქტის საფუძველზე.

მუხლი 5. ბავშვთა დაცვის ინსპექტორი

ბავშვის დაცვის ინსპექტორი (შემდგომში - ინსპექტორი) არის შესაბამისი უფლებამოსილებით აღჭურვილი მუნიციპალიტეტის საჯარო მოსამსახურე, რომელიც ობიექტურობის, მიუკერძოებლობის, კანონის წინაშე თანასწორობისა და კანონიერების პრინციპებზე დაყრდნობით ზედამხედველობს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბავშვთა დაცვის მარეგულირებელი კანონმდებლობის შესრულებას. ინსპექტორის უფლებამოსილებებია:

ა) საჯარო სივრცეში ბავშვის უფლებების დაცვაზე ზედამხედველობა;

ბ) საჯარო ღონისძიებებში მონაწილეობის მიზნით ბავშვის ჯგუფური ტრანსპორტირების წესების და ბავშვზე მეთვალყურეობის განმახორციელებელი პირების (ღონისძიების ორგანიზატორი) მიერ საკუთარი ვალდებულებების დაცვაზე ზედამხედველობა;

გ) ბავშვისათვის საფრთხის შემცველი ინფორმაციის შემცველი ბეჭდური მედიის გავრცელების წესების დაცვაზე ზედამხედველობა;

დ) საჯარო კინოჩვენებებზე და ღამის კლუბებში ბავშვის დაშვების წესების დაცვაზე ზედამხედველობა; ე) ჩაწერილ ფილმებზე ხელმისაწვდომობის სამართლებრივ შეზღუდვების დაცვაზე ზედამხედველობა; ვ) ალკოჰოლური, ნარკოტიკული, ფსიქოტროპული, ტოქსიკური და სხვა თრობის საშუალებების, ალკოჰოლის შემცველი სასმელის, თამბაქოსა და ნიკოტინის შემცველი ნაწარმის ან კაფსულების ბავშვისათვის უსასყიდლო ან სასყიდლიანი მიწოდების აკრძალვის წესების დაცვაზე ზედამხედველობა.

თავი IV

სამსახურის მართვა, სამსახურის მოხელეები და მათი უფლება-მოვალეობები

მუხლი 6. სამსახურის მართვა

1. სამსახურს ხელმძღვანელობს სამსახურის უფროსი-პირველადი პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, რომელსაც „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს მუნიციპალიტეტის მერი;

2. სამსახურის უფროსი:

ა) ხელმძღვანელობს და წარმართავს სამსახურის საქმიანობას;

ბ) დამოუკიდებლად იღებს გადაწყვეტილებებს სამსახურის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე;

გ) მერს წარუდგენს წინადადებებს თანამშრომელთა მორიგი და დამატებითი შვებულების, მივლინების, წახალისების ან დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე;

დ) ორგანიზებას უწევს და აკონტროლებს სამსახურის თანამშრომლების მიერ დაკისრებულ მოვალეობათა შესრულებას;

ე) პერიოდულად ისმენს თანამშრომელთა ანგარიშებს მათ მიერ გაწეული მუშაობის შესახებ;

ვ) სამსახურის საქმიანობის ანგარიშს წარუდგენს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს;

ზ) კანონმდებლობით დადგენილი წესით დამოუკიდებლად იღებს გადაწყვეტილებებს სამსახურის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე;

თ) შუამდგომლობს სამსახურის მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების მიზნით; ი) თავისი კომპეტენციის ფარგლებში ასრულებს მერის ცალკეულ დავალებებს;

კ) ახორციელებს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

3. სამსახურის უფროსი ანგარიშვალდებულია მერის წინაშე;

4. სამსახურის უფროსის არყოფნის შემთხვევაში მის მოვალეობას ასრულებს განყოფილების უფროსი, ხოლო მისი არყოფნისას სამსახურის ერთ-ერთი მოხელე მერის დავალებით.

5. განყოფილების უფროსი:

ა) ანაწილებს ფუნქცია-მოვალეობებს მისდამი დაქვემდებარებული განყოფილების თანამშრომლებს შორის და აძლევს მათ სათანადო მითითებებს და დავალებებს;

ბ) ზედამხედველობას უწევს განყოფილების თანამშრომლებს მათზე დაკისრებული სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისას;

გ) ხელს აწერს განყოფილებაში მომზადებულ დოკუმენტაციას; დ) სამსახურის უფროსს აბარებს განყოფილების მუშაობის ანგარიშს; ე) წარმოადგენს განყოფილებას საკუთარი მოვალეობების შესრულებისას, განყოფილების სახელით იძლევა სათანადო დასკვნებს; ვ)

ანგარიშვალდებულია სამსახურის უფროსის წინაშე; 6. განყოფილების უფროსის არყოფნისას მის მოვალეობას ასრულებს ერთ-ერთი მოხელე..

მუხლი 7. სამსახურის საჯარო მოსამსახურეები

1. სამსახურის საჯარო მოსამსახურე არის ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოსამსახურე. 2. სამსახურის საჯარო მოსამსახურეს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მუნიციპალიტეტის მერი „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

მუხლი 8. სამსახურის საჯარო მოსამსახურეთა უფლება-მოვალეობები

1. სამსახურის მოხელეებს უფლება აქვთ:

ა) უშუალო ხელმძღვანელს წარუდგინონ წინადადებები მათი საქმიანობის სრულყოფის თაობაზე;

ბ) მიიღონ მათი მუშაობისათვის აუცილებელი კონსულტაციები;

გ) ისარგებლონ საჭირო სამართლებრივი აქტებით, საინფორმაციო და სხვა მასალებით;

დ) დააყენონ უშუალო ხელმძღვანელის წინაშე საკითხი მოსამსახურეთა ფუნქციონალური მოვალეობების შესრულებისათვის საჭირო პირობების უზრუნველყოფის შესახებ;

ე) დადგენილი წესით ისარგებლონ ორგანიზაციული, გასამრავლებელი, საინფორმაციოსაკომუნიკაციო ტექნიკით, სხვა შესაბამისი ტექნიკური საშუალებებით;

ვ) ისარგებლონ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საჯარო მოსამსახურის სხვა უფლებებითა და გარანტიებით.

2. სამსახურის საჯარო მოსამსახურეები ვალდებული არიან:

ა) ზუსტად შეასრულონ და დაიცვან „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით, საქართველოს კანონმდებლობით, ამ დებულებით განსაზღვრული მოვალეობანი;

ბ) დროულად და სრულყოფილად შეასრულონ უშუალო და ზემდგომი ხელმძღვანელების დავალებები; გ) შესაბამისი საფუძვლის არსებობისას დაიცვან საიდუმლოების რეჟიმი;

დ) იმუშაონ თავისი პროფესიონალური მომზადების დონის ასამაღლებლად;

ე) განუხრელად შეასრულონ დადგენილი შრომის შინაგანაწესის მოთხოვნები;

ვ) გაუფრთხილდნენ მათ სარგებლობაში არსებულ საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნიკას, ინვენტარსა და სხვა სახაზინო ქონებას.

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1) „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 ივლისის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

2) მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ეკა გუჯაბიძე.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 7 წევრი.

მომხრე ბიუროს 7 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

სხვადასხვა საკითხები:

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარის **გიორგი ჩახვაძის** განცხადებით, ქვემო ჩიბათში 200-მდე ოჯახი დარჩენილია უწყლოდ. წყლის მოტორი დაზიანებულია და შეკეთებას აღარ ექვემდებარება. პრობლემის მოსაგვარებლად საჭიროა დაახლოებით 2000 ლარი. საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას მიმართა დახმარების თაობაზე და იქვე შენიშნა, რომ წყალმომარაგების მოსაგვარებლად მუნიციპალიტეტის მასშტაბით თითქმის ყველაზე ნაკლები რაოდენობის თანხა ჩიბათის ადმინისტრაციული ერთეულისთვის იყო გათვალისწინებული.

მუნიციპალიტატის მერის **ალექსანდრე სარიშვილის** განმარტებით, ამ ეტაპისთვის მუნიციპალიტეტის ვალდებულებას არ წარმოადგენს წყლის სისტემის მოვლა-პატრონობა, აქედან გამომდინარე რაიმე პასუხისმგებლობის აღება რთულია.

საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მწვანეების“ თავმჯდომარემ **ზაზა წულაძემ** აღნიშნა, რომ სოფელ ნიგოითში მამუკა კალანდარიშვილის სახლთან მისასვლელი ხიდი ინგრევა, რაც აუცილებლად დროულადაა გასაკეთებელი.

ამით ბიუროს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ბესიკ ტაბიძე

საკრებულოს თავმჯდომარე
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

